№ 74

სამშაბათი, 6 აპრილი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 74

სამშაბათი, 6 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიი

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი** აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ შვიდს მომავალს აპრილს, დილის ათს საათზედ, მოხდება საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, და სთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებსა და საქმეების განხილვაში, 1876 წელს გამოცემულ მე-IX კრ. მე-98 მუხლისა და 1890 წ. გამოცემულ დამატებით კანონის მე-104 მუხლის ძალით, მონაწილეობა მიიღონ, კრებაზედ მობრძანდნენ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) არჩევანები თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში.

2). მოხსენება ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

3). მოხსენება მიწების გამიჯვნის საქმის დაჩქარების შესახებ.

4). მოხსენება იმის შესახებ, რომ დაწესდეს სტიპენდიები სასწავლებლებში მეფე ირაკლის სახელობაზედ, და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ეწოდოს მეფე ირაკლის მეორის სახელი.

5.) მოხსენება იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას ნება ჰქონდეს ფულის სესხად აღებისა ტფილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკიდან.

6). ტფილისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება.

და 7). ზოგიერთი საგნები იმ მამულების მოვლის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი

(3—6.—3)

**ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა**

დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის ალებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—6.—2)

**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ამა საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა, რომლითაც, წესდების მე-17 §-ის შესავსებლად საზოგადოებას შემდეგი უფლებანი ეძლევა:

პუნქტი 9. მიიბაროს საზოგადოების წევრთა, გარეშეთა და დაწესებულებათაგან ფული სარგებლის მლევით, როგორც უვადოდ, ისე ვადითი და მიმდინარე ანგარიშით, სხვა-და-სხვა პირობით, ისე-კი, რომ ბილეთი ანუ მოწმობა ფულის პატრონთ მხოლოდ სახელდებული მიეცეთ, უფლება არა ჰქონდეთ სხვაზედ გარდაცემისა და ას მანეთისაზედ ნაკლებისა არ იყოს.

შენიშვნა. თუ ვინიცობაა საზოგადოებამ მოსპო მოქმედება, საზოგადოების წევრთ მათ მიერ შეტანილი ფული დაუბრუნდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარეშეთაგან შეტანილი ფული იქნება სავსებით გარდახდილი.

პუნ. 10. დააგირავოს საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები (სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი) სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და გადააგირავოს ის სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც საზოგადოებას გირაოდ აქვს აღებული კერძო კაცთაგან, პატრონთა ნებაყოფლობით, ხოლო ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ აქვს საზოგადოებას იმ გირაოზედ მიცემული.

პუნ. 11. გადააგირავოს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, პატრონთა ნებაყოფლობით, გირაოდ მიღებული საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებნი, ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ საზოგადოებასა აქვს იმ გირაოზედ მიცემული სესხი, და იმ პირობის დაცვით, რომელიც დადგენილია „საკრედიტო წესდების" (1893 წ. გამოც. კანონთა კრებულის მე-XI ტ., მეორე ნაწ.) მეათე გამეოფილების მე-10 მუხლში. (3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. ადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. ვ **ჩაქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ე. ი. **ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პრიტასკევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. **კარაპეტიანცი**. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. **გურკო**. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. **მახვილაძე**.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. **შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. **ნავასარდიანი**—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

## ფელეტონი

**სომეხთა მეცნიერნი**

და

**ქვათა ღაღადი**

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს"...
რუსთაველი

(შემდეგი *)

X

ბ-ნი გოლმსტრემი მარტო ქვათა ღაღადის, ქვათა მოწმობის გადასხვაფერებას, გადაკეთებას არა ჰკმარობს: ქვა მკვდარი საგანია, თავისს თავს ვერ გამოესარჩლება, ვერავის ეტყვის ჩემი სიტყვა, ჩემი ნათქვამი რად გადამიკეთეო, მართლის მაგიერ ტყუილი რად მათქმევინეო. საქმე ის არის, რომ ბ-ნი გოლმსტრემი ცოცხალ კაცის სიტყვასაც, მოწმობასაც ასე ექცევა. არც იმას ერიდება, რომ მოწამე არ შემარჩენს ამისთანა საქციელს, არც იმას, რომ გამამხელენ სხვანიო. ეს მაღალ-ფრაზებით მაღლა-მყვირალა ვაჟბატონი ბ-ნის ნიკოლსკის სახელით იმისთანა ამბებს ასაღებს, რომელიც ბ-ნ ნიკოლსკის ფიქრადაც არ მოსვლია, პირ-იქით სულ სხვას ამბობს, სულ სხვას ამტკიცებს.

ბ-ნი ნიკოლსკიო, ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი, გვემოწმებაო, რომ ურარტელნი სომხები ყოფილანო. ბ-ნი ნიკოლსკი სომეხთა მეცნიერი არ არის და, მაშასადამე, ამისს მოწმობას და სიტყვას თავისი სამართლიანად დამსახურებული ფასი აქვს. აბა ერთი თვითონ ბ-ნ ნიკოლსკისა ვკითხოთ: მართლა ისეა, თუ არა, რასაც ბ-ნი გოლმსტრემი მისის მოწმობით გვეფიცება. აი ბ-ნი ნიკოლსკი რასა სწერს სწორედ იმ ქვების შესახებ, რომელთ ღაღადსაც ასე ამაოდ აუშუშხუნებია ბ-ნი გოლმსტრემი: „ვანის ლურსმულნი წარწერანი უეჭველის საბუთის ძალით ეკუთვნიან მეცხრე საუკუნის დასასრულს და პირველ ნახევარს მერვე საუკუნისას ქრისტეს წინ." [1])

აშკარაა, იგიც იმ აზრისაა, რომ ამ ქვების წარწერებში მოხსენებულნი ერნი სომხები არ არიან, რადგანაც მეშვიდე საუკუნის დასასრულამდე, ან, უკედ ვთქვათ, მეექვსე საუკუნის დასაწყისამდე ქრისტეს წინად ვანის ადგილებში სომხების ჭაჭანებაც არა ყოფილა, როგორც ზევით ვნახეთ და როგორც დღეს უეჭველად ცნობილია მეცნიერებაში და პატკანოვის მიერაც დამტკიცებულ-დაბეჭდილია.

ეს ერთი უვიცობა ბ-ნ გოლმსტრემისა და ერთი მაგალითი, რომ ბ-ნი ნიკოლსკი, როგორც მცოდნე კაცი და დიდად საზრისიანი იმას არ იტყოდა, რაც ათქმევინა ბ-ნმა გოლმსტრემმა. ეს რომ ეთქვა ბ-ნ ნიკოლსკის, ისიც უნდა ეთქვა, რომ ქვები ჰღაღადებენ და ჰმოწმობენ იმას, რაც მას უკან, სამასს წელიწადს შემდეგ მოხდა. ამისთანა წინასწარ-მეტყველობა ქვებისა ჯერ არავის გაუგონია და როგორ ვაკადროთ ამისთანა განუკითხაობა ბ-ნ ნიკოლსკის, რომელიც ცნობილია ვითარცა ფრთხილი და ჭკუათა-მყოფელი მეცნიერი. ეს კიდევ არაფერი.

ბ-ნი ნიკოლსკი ამბობს: „დღევანდლამდე არ არის ნაპოვნი ის ნათესაური ოჯახი ენებისა, რომელსაც შესაძლოა მიეწეროს იგი ენა (ენა ვანის წარწერებისა). იგი რაღაც ცალკე ენაა, მთლად განკერძოებული. თითო-ოროლა მაგალითი მზგავსებისა ქართულ ენასთან ჯერ კიდევ სრულს საბუთს არ გვაძლევს დავადგინოთ ნათესაური კავშირი, თუმცა ეს ნათესაობა ქართულ ენასთან შესაძლოდ დანახულია თითქმის ყველა იმათგან, ვისაც კი გამოურკვევიათ იგი წარწერანი. სამწუხაროდ, შედარებითი-ცოდნა კავკასიურ ენებისა და განსაკუთრებით ქართულისა, მათის ისტორიისა, დიალექტებისა ჯერ ნაკლებია. მაინც და მაინც მარტო ქართულის მცოდნე ლინგვისტებისაგან უნდა მოველოდდეთ უფრო გადაწყვეტილს პასუხს ამ საგნის შესახებ". [2])

ხომ ჰხედავთ, ბ-ნი ნიკოლსკი ამ საგანს რა რიგად ფრთხილად, თავდაჭერილად ეპყრობა, ისე ფრთხილად და წინ-დახედულობით, როგორც შეჰშვენის მართლ-მოყვარე მეცნიერსა, ღირსეულს სწავლულს, რომელიც ვიდრე გამოსჭრიდეს, ათჯერ გაზომავს ხოლმე. იმასაც ჰხედავთ, რომ, თუ ბ-ნი ნიკოლსკი ურარტელების ქართველობას დაბეჯითებით არ აღიარებს, იმას ხომ სრულებითაც არ იხსენიებს, ვითომც სომხები და ურარტელნი ერთისა და იმავე მოდგმისანი არიანო. ამისათვის ბ-ნი ნიკოლსკი ერთს სიტყვასაც შორეულადაც არ იმეტებს. მაშ საიდამ გამოატყვრინა ბ-ნმა გოლმსტრემმა, რომ ბ-ნი ნიკოლსკი ურარტელების სომხობას იმოწმებაო? ეს თვითონ ბ-ნ გოლმსტრემსა ჰკითხეთ, ან სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერთა. არც ეს არის ჯერ კიდევ დიდი რამ.

აი ერთი უფრო ძლიერი მაგალითი იმისი, რომ ბ-ნი ნიკოლსკი ამაოდ ხსენებულია, ამაოდ მოწვეულია მოწმად ბ-ნ გოლმსტრემისაგან და ამის შემდეგ გვიკვირს ბ-ნ ნიკოლსკისაგან, რომ თავი არ გამოუდვია თავისის პატივ-ცემულ სახელის ამაოდ ხსენებისათვის. სახელის ამაოდ ხსენება კიდევ დიდი უკან სადევნებელი საქმე არ არის. ყურს ვინ ათხოვებს,—ვინ უხსენებს სახელს ცალკე კაცს ამაოდ და ვინ არა. სამწუხარო აქ ის არის, რომ ისეთს ხსენებას, როგორიც მოუწადინებია ბ-ნ გოლმსტრემს, მოსდევს შეწამება სრულის უვიცობისა, უმეცრებისა იმისთანა პატივ-ცემულ მეცნიერისას, როგორიც ბ-ნი ნიკოლსკია, რომელიც მართლა საქმის მცოდნეა და არა ქარაფშუტა სომეხთა მეცნიერთამებრ. აქ შებღალვულია

*) იხ. „ივერია" № 73.

[1]) იხ. Древности Восточныя, т. I, გვერდი 377, წერილი ნიკოლსკისა.

[2]) აი სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ბ-ნ ნიკოლსკისა: „До сего времени не удалось еще найти той родственной семьи, какой можно было-бы отнести этотъ языкъ (языкъ Ванскихъ надписей); онъ представляетъ нѣчто совершенно изолированное. Нѣкоторыя одиночныя явленія, сходныя съ грузинскимъ языкомъ, еще не даютъ права къ установленію родственной связи, хотя возможность этого родства признается почти всѣми изслѣдователями этихъ надписей. Къ сожалѣнію, сравнительное изученіе кавказскихъ языковъ и особенно грузинскаго не совершенно, во всякомъ случаѣ только отъ грузинологовъ-лингвистовъ мы можемъ ожидать болѣе рѣшительнаго отвѣта на этотъ вопросъ". იხ. Древности Восточныя т. I, გვერდი 377, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი.

გადაყვანილ იქმნენ განჯის მე-156 ქვეითა რაზმის ზორუჩიკი თუშმალიშვილი და პოდპორუჩიკი თავდგირიძე—დერბენდის მე 154 ქვეითა რაზმში.

# ახალი ამბავი

*** 14 მარტს, კვირა დღეს, ანჩისხატის ტაძარში შეიკრიბნენ ორმოცამდე სამრევლონი, მოწვეულნი ამა ტაძრის მღ. პ. კარბელაშვილის მიერ „საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს“ დასაარსებლად. სამრევლოთა კრებამ ერთ-ხმად დაადგინა დაარსდეს „საეკკლ.-სამრ. სამზრუნველო“, და ამოარჩია: თავმჯდომარედ გენერალ-ლეიტენანტი ა. ბ. ბუქყიაშვილი და წევრებად: კავალერიის გენერალი თ. ი. გ. ამილახვარი, მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თ. დ. ზ. მელიქიშვილი, გენერალ-მაიორი ვ. ბ. ბუქყიაშვილი, პოლკოვნიკი გ. გ. ქართველიშვილი, მ. ი. მანსვეტოვი, ი. ლ. ბალუევი, ვ. დ. პეტრეპავლოვსკი, ი. ი. ბალუევი, გ. ი. ვასილიევი, სოფიო ბუქყიაშვილისა, ე. დ. ფურცელაძისა და ა. ი. ვასილიევისა. შედგენილი განაჩენი მღ. პ. კარბელაშვილმა 18 მარტს წარუდგინა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, საქართველოს ეგზარხოსს, რომელმაც იმავე დღეს დაამტკიცა.

*** კვირას, 4 აპრილს, ტფილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში გამართულ იქმა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ეგზარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი და სხვანი.

*** კვირას, 4 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ტფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭართა კრება, როგორც წაკითხულის ანგარიშიდგანა სჩანს, ამა წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოების კასსაში ყოფილა სულ 171,297 მან. 86 კაპეიკი. კრებამ დაამტკიცა 1897 და 98 წლების ანგარიშები. დასასრულ მოხდა არჩევანები სტაროსტასი, იმის ამხანაგებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. არჩეულ იქმნენ წინანდელნი.

*** ახალციხიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ ამ ქალაქის თვით-მმართველობამ დაადგინა შეუდგეს ქალაქის მკვიდრთა უძრავ ქონების ხელ-ახლა დაფასებას. ამ აზრით განსაკუთრებული კომისია იქმნა არჩეული. კომისიის წევრებს განუცხადებიათ, უსასყიდლოთ ვიმუშავებთო.

*** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს თავისი სახლი გოლოვინის პროსპექტზედ, სადაც „ტფილისის სობრანია“ მოთავსებული, ა. ი. მანთაშევისათვის მიუყიდნია 550 ათას მანეთად.

*** მთავრობას უკვე წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისში განზრახულ „უმაღლეს დედათა სამკურნალო ინსტიტუტის ღარიბ მოსწავლე-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტი.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ საერობო თანხიდგან საჭირო ფული იქმნას გადადებული ტფილის-ალბულაღის გზა-ტკეცილის შესაკეთებლად.

*** ტფილისში დაბრუნდა პეტერბურგიდგან, ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი ბიკოვი. როგორც „Нов. Обоз.“ იუწყება, ბ ნ ბიკოვს აზ-ადა აქვს ნაფიც ვექილად ჩაირიცხოს.

*** პეტერბურგიდგან ატყობინებენ გაზ. „კავ.“-ს, რომ გამოქვეყნებულ იქმნა წესდება იმ სამანუფაქტურო საზოგადოებისა, რომლის დაარსებაც ამიერ-კავკასიაში აზრადა აქვთ მანთაშევს, ძმ. კევორკოვებს, ავეტისიანსა და ვოსკონიანცს. ძირის თანხად საზოგადოებას ექმნება $1^1/_2$ მილიონი მანეთი. ერთი აქცია ეღირება 1000 მან.

*** ს. ჭაგანი, (ქუთაისის მაზრა). 30 მარტს აქ დაიწვა გლ. დ. ფრანგიშვილს სასიმინდე, რომლის ქვეშ მოთავსებული იყო სამზარეულო და მოშენებული იყო გვერდით პირუტყვის თავშესაფარი. ბავშვს ცეცხლი გაუქრობელი დარჩენოდა და უეცრად გასჩენოდა შენობას. ზარალი 90 მანეთამდე იქნებაო. ამბობენ, ჭაგანში ვაარსებთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, რისთვისაც ნება-რთვა კარგა ხანია ვითხოვეთ გუბერნატორისაგან.

ჩვენში არც ერთი ოჯახი არ დარჩენილა, რომ აბრეშუმის თესლი არ ეყიდნოს, დღემდის (ბევრი დღესაც) კუხის პირველ სააბრეშუმო ამხანაგობიდგან იტაცებდნენ თესლს, მაგრამ დღეს ზოგიერთ კოლოფზედ რომ ვერ ნახეს დაკრული ამხანაგობის ბეჭედი, ხალხმა იფიქრა ამ კოლოფებში ცუდი თესლი არ იყოსო.

ჭაგნის საზოგადოებაში არსებობს სამი სამრევლო სკოლა და ერთი ერთკლასიანი სასწავლებელი, რომლებიც ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების საჭიროებას. რამდენსამე კაცს აზრად აქვს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის ორკლასიანად გადაკეთება, მაგრამ ვიდრე ენკენისთვე არ მოაწევს და თვალ ცრემლიანი ბავშვები უადგილობისა გამო უკანვე არ დაბრუნდებიან, იმ დრომდე ამ აზრის განხორციელება შეუძლებელია. კაცი საქმეს მაშინ მოითხოვს, როდესაც მოშივა.

*** ტფილისის მეპურეებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას საბჭოს უკანასკნელი დადგენილება პურის ნიხრის დაკლების შესახებ.

*** მთავრობამ გადასდო 5,500 მანეთი კახის საზოგადოების სამმართველოს შენობის გადასაკეთებლად.

*** რადგანაც ახალ-სენაკის სადგურზედ, სადაც ორსავ მხრიდგან მომავალი მატარებლები ხშირად ჩერდებიან იქ და გზას უგრავენ სადგურზედ გამვლელ-გამომვლელთ, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ეს დაბრკოლება ამ სადგურზედ აცილებულ იქმნას თავიდგან.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ არტისტს ნ. ნ. ბოგდანოვს აზრა აქვს შეადგინოს არტისტთა დასი და აღდგომის შემდეგ ნაძალადევის ცირკში უკვე ლესისათვის ხელ-მისაწვდომი წარმოდგენები გამართოს. როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, ბ-ნ ბოგდანოვს რამდენიმე არტისტი უკვე მოუწვევია.

## დიდი საქმე.

(ბ-ნ მონადირაშვილის კონცერტის შესახებ)

რა დიდ-მნიშვნელოვანია მცხეთის სვეტი-ცხოვლის საკათალიკოზო ტაძარი ქართველთათვის, ამის შესახებ ბევრი ითქვა დღემდე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქართველთა ეროვნულ თავისებურობის დედაბოძის განახლების საქმემ უმისოთ ძილით დათენთილნი, მძიმენი, უთაოდარიგონი როგორლაც გამოგვაფხიზლა, თვალები მოგვაშვენეტინა და სამოქმედოდ აგვიძგერა გული. აგერ შესდგა კომიტეტი და გააბა ღაღადი დიდი საქრისტეანო ერისა შორის შემწეობისათვის: ჰმართავს ზედი-ზედ კრებას ასაწონ-დასაწონად ყოველის წვრილმანის გარემოებისა, რათა განახლების საქმე უკეთ, საშვილიშვილოდ გამოსაყენებლად იქმნას მოწყობილი; აარსებს თვით სვეტიცხოვლის დღევანდელ ტაძრის მეცნიერულად შესწავლის საქმეს რამდენადმდე გასაადვილებლად განზრახულის განახლებისა; იწვევს ყოველ ქართველს მონაწილეობის მისაღებად ამ დიდ საქმეში, გააბა დიდი მიწერმოწერა შესაწევარის მოსაკრებად და სხ. აი, ამ დიდმა საქმემ გამოიწვია ახალგაზდა ი. მონადირაშვილი სამოქმედოდ თავის მგალობელთა გუნდით და 4 აპრილს, კვირა საღამოს, თავი მოუყარა ქართველთა საზოგადოებას მუხრან-ბატონის დიდს დარბაზში, რაოდენსამე ქართულ საგალობელთა კილოს მოსასმენად. კილოები შეადგენენ საღამო ლოცვას, ცისკრის და წირვის უმთავრესს საგალობლებს. აქ ჩვენი ყურადღება სასიამოვნოდ მიიქცია თვით მონადირაშვილისა და მგალობელთა ცდამ, რომ ნაკისრი დიდი საქმე სინიდისიერად შეესრულებინათ გორკეცებულის დიდის საქმისათვის. საზოგადოებაც მხარს უმშვენებდა ამ სასიამოვნო სახილველსა და სულგანაბული უგდებდა ყურს სამშობლო კილოებს, რაოდენადმდე ევროპიულ სამოსელში გამოწკეპილებს! აქ ბრძანდებოდა „დიდის საქმის“ სულის ჩამდგმელი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, აქ ბრძანდებოდა მისი თანაშემწე, დიდ საქმეში ჩაბმული ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, აქ ბრძანდებოდნენ მრავალნი

---

თვითონ მეცნიერება და მისნი გამონარკვევნი, მისნი დასკვნანი, მისნი ნაძიებნი, მერე ვისის სახელით? ბ-ნ ნიკოლსკის სახელით და მოწმობით. აი შეუწყნარებელი, შეუსაბამო აქ რა არის და არა მარტო ის, რომ ცალკე კაცის სახელი ამაოდ ხსენებულია, თუმცა ესეც საკადრისი საქციელი არ არის თავისს თავად. დავუგდოთ ყური თვითონ ბ-ნ ნიკოლსკის ნათქვამს და სამართალი ისე ვქმნათ.

იგი ამბობს: „ურარტის ქვეყანა, ასსურულ და ბაბილონის საბუთების ძალით, არის ის ნაწილი უფრო დიდის და ვრცელის ქვეყნისა, რომელსაც იგი საბუთები უწოდებენ „ნაირი“... „მეცნიერებაში ჯერ დადგენილი არ არის მტკიცედ ცნობა და ნამდვილი სახელწოდება იქ დამკვიდრებულ ერებისა, ხოლო ლენორმანის და ჰომმელის მიხედვით შესაძლოა იმ ერებს ვუწოდოთ „ალაროდიელნი“... „თუ ამ ალაროდიელებს არ ეკუთვნიან ეხლანდელნი ქართველები, უნდა მიღებულ იქმნას, რომ იგი ერი მოისპო და მცირე აზიის და ამიერ-კავკასიის მკვიდრთა შორის იმ ერის მოდგმისა აღარავინ არის.“ [3])

აშკარაა, ურარტელნი, იგივ ალაროდიელნი, ბ-ნ ნიკოლსკის აზრით, ან ეხლანდელი ქართველები არიან, ან და იმათის მოდგმისა აღარავინ არის. სად არის აქ მოწმობა ურარტელების სომხობისა? პირიქით, განა აქ სრული და გადაწყვეტილი უარ-ყოფა არ არის იმისი, რასაც ასე კადნიერად სწამებს ბ-ნ ნიკოლსკის ბ-ნი გოლმსტრემი და მისის სახელით ასე უდარდელად, უპრაგონოდ ასაღებს, თითქო აქ არაფერი ცუდი და გასაკიცხი არა არის-რაო. კიდევ ვიტყვით: ცოდვაა, ცოდვა, რომ ამისთანა პატივ-საცემი, თავ-დაჭერილი, ჭკუა-დამჯდარი მეცნიერი კაცმა თავისს გულის-თქმაზე შესვას, ტყუილების გუდა აჰკიდოს და ისე ატაროს ქვეყნიერობაზე. რა გაჭირება ადგა ბ-ნ გოლმსტრემს, რომ ასე უპატიურად მოექცა ჯერ მეცნიერებას და მერე ბ-ნ ნიკოლსკის? ქვანი ჰღაღადებენო!.. ქვანი არა სტყუიანო!.. ქვანი-კი არა ჰღაღადებენ, აქ ბ-ნის გოლმსტრემის თავ-შეუდებელი საქციელი ჰღაღადებს. ქვანი-კი არა სტყუიან, ბ-ნი გოლმსტრემი არა-მართლობს და ფარისეველსავით გულში ხელს იცემს, მაღალ ფარდებში სიმს აჟღარუნებს ვითომდა ჩაგრულ ჭეშმარიტებისათვის, ვითომდა პირქვე დამხობილ მართლისათვის სისხლის ცრემლსა ჰღვრის. კამედიავ, კარგი რამა ხარ თავისს ადგილას, აქ-კი მარტო გულს უზრზენ ადამიანს, რადგანაც გულის მაგიერ ჩვენ თვალწინ მჩვარსა სწვამ და გგონია მჩვარი გულად გავაო.

ბ-ნი ნიკოლსკი უფრო შორს მიდის და ამასაც ამბობს, რომ „უდიდესი და უძლიერესი ერი სირიის და მცირე აზიისა, შემქმნელი განსაკუთრებულ კულტურისა და გულადი მეტოქე ეგვიპტისა და ზოგჯერ ასსურეთისა „ხეტტი“ ეკუთვნოდა ალაროდიელ ნათესაობასაო [4])... ალაროდიელნი აშკარაა იგივეა, რაც ურარტელნი სახელიდამ „ურარტი“, არარატი, მხოლოდ რ გადაქცეულია ლ-დაო. [5]) „თაბალი“, ერი, რომელიც მკვიდრობდა კაპადოკიაში, აშკარაა აგრეძვე ალაროდიელთა ნა-

[3]) აი სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ბ-ნ ნიკოლსკისა: „Страна Урарту, по ассирійскимъ и вавилонскимъ источникамъ, была частью болѣе обширнаго цѣлаго, которое называется въ нихъ странами Наири... „Въ наукѣ пока неустановлено твердаго понятія и точнаго наименованія этихъ народностей, но, по примѣру Ленормана и Гоммеля можно было бы ихъ назвать Алародійцами“... „Если къ ней (рассѣ Алародійцевъ) не принадлежатъ нынѣшніе грузины, то ее слѣдуетъ считать совершенно исчезнувшей изъ среды нынѣшнихъ обитателей Малой Азіи и Закавказья“. იხ. Древности Восточныя т. I, გვერდი 389, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა.

[4]) იხ. Древности Восточныя т. I, გვ. 389 წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა.

[5]) იქვე, გვ. 387.

რომ კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს და მთებს, საცა კაპადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ. ამისი უტყუარი მაგალითები მოჰყავს განსვენებულს ჩუბინოვს, კიპერტის, ვივიენ სენ-მარტენის, ტესიეს, ჰაჯი ხოლმას, მუსლემანთა მწერალ-გეოგრაფის მოწმობით. მაგალითებრ, თ ი ა ნ ე თ ი, ჩ ხ ო რ უ მ ი, დაბა მდებარე მახლობელ ამასიის ქალაქისა, სტრაბონის სამშობლოსი, როგორც ქვევით ვნახავთ; თ ა ვ ი ა, დაბა კიშერის ქალაქის მახლობელი ჩრდილოეთით; მ უ ჟ უ რ ი ამ ქალაქის სამხრეთით; თ ა მ ა რ მ ე კესარიის ქალაქის ახლოს; ო რ გ უ ბ ე იქვე, კესარიის ახლო; ს ა რ მ უ რ ს ა ხ ლ ი, იქვე; ჭ ი ჭ ა კ ი ს-მ თ ა, კიშერის ქალაქის ახლო; ე რ ჯ ი შ ი-მ თ ა კილიკიაში; თ ე ჯ ი რ ი ს-მ თ ა, სივას ქალაქის ახლო; ა ც მ უ რ ი ს-მ თ ა, მილიტენის ქალაქის ახლო; გ ა ც უ რ ი ს-მ თ ა მურაშინის ქალაქის ახლო; ჭ ი ლ ო ბ ი ს-მ თ ა, ჩ ხ ა ტ ა ლ ი, ო რ თ ა ყ ვ ი ს-მ თ ა, ნიღდის ქალაქის ახლო; ფ ა რ ხ ა ლ ი და დ ე დ ა-მ თ ა, საროს მდინარეს ახლო; ქუთაია, გომიში (მეგრული სიტყვაა, ნიშნავს კამეჩს), ჭალა, ტაზის-კარი (ტაშის-კარი), თავშანი, ენგური, კარი-მაზარი, ქიზიყი ქალაქია მარმარილოს ზღვის პირზე, ონი შავის-ზღვის პირზე: ნაქილობევის-მთა, ჟომურა (ჟამურა). ქაჯთ-კარი, ნებიანი, ქურდბელი, თავშავის-მთა, ატენი, გემრიელი-წყალი, რუკაზე გარყვნილად სწერია,—გერმიელ-ჩაი, ტეძამი, ბალხარიის მთები, რომლებიც მდებარებენ პონტოსა და საქართველოს სამზღვრებზე, დღესაც „გურჯი ბოღაზად“ (საქართველოს მინდვრად) იწოდებიან თურმე.

თვით ქსენოფონტე, ჩუბინოვის სიტყვით, მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონი ბერძნების აშენებული ქალაქია კოლხიდელების ქვეყანაშიო. სახელ-გათქმული სტრაბონიც მოწმად მოჰყავს, რომ კაპადოკია ერთის ნათესავის ერის სამკვიდრო ადგილი ყოფილა, თვითონ სტრაბონიც ამასიის ქალაქიდამ იყო და დედა ჭანი ჰყვანდა და ამიტომაც მისი მოწმობა დასაჯერიაო, ვითარცა კაცისა, თითქმის იმ ადგილებში დაბადებულისაო. განსვენებული ჩუბინოვი ამ სტრაბონის ამბავს სტრაბონისავე წიგნით ამტკიცებს.

ამავე ავტორს ის ქკუას ახლო და ადვილად სარწმუნო საზრისიც მოჰყავს, რომელიც გვაიშნებს, რომ კაპადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრ-მოსახლენი. წმინდა მამანი იოანნე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გამტკიცებისათვის, კაპადოკიელნი ქართველები იყვნენო. თუ ქართული არა სცოდნოდათ, ძნელი საფიქრებელია იმედი რამ ჰქონოდათ უენოდ გაერიგებინათ რამ და მოიმოწაფებინათ ერიო. მართალია, ეს წმინდა მამანი სირიელებად ხსენებულნი არიან, მაგრამ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა ჰრაცხდნენ სირიელებად, ან მესოპოტამიებლადო [ტესიე: მცირე აზია, გვ. 500]. თვით წმინდა გიორგი კაპადოკიელი იყოო და ამის გამო მთელს საქართველოში თაყვან-ცემულიო. წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთ-სწორი წმინდა ნინო, აგრეძვე კაპადოკიელი, მაშასადამე, მცოდნე ქართულის ენისა, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთაო. ვისაც ჰსურს უფრო მეტი საბუთები ყოველ ზემოხსენე-

საუკეთესო შვილნი ქართველთა ეკკლესიისა... მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. ტფილისის ეკკლესიების სულიერნი მამანი ყველანი არ დაესწრნენ ამ ფრიად სასიამოვნო საღამოს.

თვით გალობის ღირსებისა და იმის შესახებ, თუ რავდენად აქვს შეფერებულ-შეხამებული ევროპიული სამოსელი ჩვენს ძველ კილოებს— ჩვენ თავის დროზედ მოვილაპარაკებთ ცალკე წერილით. დღეს-კი მადლობის მეტი არა გვეთქმება-რა „დიდის საქმის“ მოთავეთათვის; პატივი და მადლობაც ი. მონადირაშვილს თავისის გუნდით, რომ „დიდის საქმის“ შესრულების სურვილი წინ გაიმძღვარა და მეორე „დიდს საქმეს“ რაოდენიდმდე გაუკაფა ეკლიანი ბილიკები, მოამზადა, გააადვილა და წინ წასწია მისი განხორციელება ერთის ნაბიჯით მაინც.

მე-კი ამ ზემორე ნათქვამით გრძნობა აშლილი ისევ მოგმართავ, წამებულთა მემკვიდრეო ქართველობავ! ნუ უღალატებ მამაპაპის ანდერძს, ნუ უღალატებ შენს სხივმოსილს წარსულს! ნუ დააცლი შენის ეროვნული თავისებურობის მხცოვანს დედაბოძს წაქცევასა და დროზედ მიაშველე ხელი მეშველი! ნუ განიშორებ თვალთაგან იმ დიადს სურათს, ჩვენ ყველასაგან ხშირად ნახულს, როდესაც პატარა ყრმა მოწიწებით მხარში უზის თავის მოხუცს პაპასა—მამასა, გინა ბებიასა—დედასა და მიჰყავს-მოჰყავს, ამით მოხუცის პატივისცემის გამომხატველი! ნუ უკულებელ ვყოფთ, ძმებო, ჩვენს უდიდესს სიწმიდესა—სვეტსა ცხოველსა, „რომელი მკვეთლად და მფარველად მოგვენიჭა ნათესავსა ჩვენ ქართველთასა“.

ჩვენ ბევრი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ სვეტისცხოვლის განახლებაც ხომ „დიდი საქმეა“, ქართველნო! ვინ იცის, იქნება ღმერთმა ინებოს და ამა უწმიდესის ტაძრის განახლებამ ჩვენი სულიერად განახლება გამოიწვიოს! ყოველ შემთხვევაში მუდამ ერთია მშობელი მრავალთა.

სასურველია ბ-ნმა მონადირაშვილმა ამ მომავალ მაისში, ანუ აპრილის გასულში განიმეოროს თვისი, ყოველმხრივ სასარგებლო, დაწყებული საქმე.

პ. ცხვილოელი

## ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველს, წელს ჩვენში აუარებელი აბრეშუმის გრენი (თესლი) შემოუტანიათ სხვა-და-სხვა ფირმებისა უცხოეთიდგან: —სტამბოლიდგან, საფრანგეთიდგან და იტალიიდგან. უმეტესი ნაწილი ამ გრენისა, როგორც მოსალოდნელი იყო, უვარგისი აღმოჩნდა—პებრინიანი და მეაბრეშუმეებს დიდი სიფრთხილე ჰმართებთ გრენის შეძენის დროს, რომ მთელმა მათმა შრომამ და ხარჯმა ტყუილად არ ჩაიაროს, ამისათვის ვურჩევთ შეიძინონ მხოლოდ იმ ფირმის გრენი, რომელიც შემოწმებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ და რომლის კოლოფებზე დასმულია სადგურის ბეჭედი. წითელის ლაქის ბეჭედი ჰნიშნავს იმას, რომ ამა და ამ კოლოფში გრენი სალია—უპებრინოა, შავის ლაქის ბეჭედი-კი—გრენი ავადმყოფია, უვარგისი, პებრინიანი.

ჯერ-ჯერობით სადგურს გაუსინჯავს თესლი ორმოცამდე სხვა-და-სხვა ფირმისა. ეს ფირმებია: გალფარა-პერიე, ძმ. ჩილინგირიანი ლაზორდკალონა-დისტია, ძმანი კრიტიკოს, სტეფანიდე, პინაჩე, კუპრიანოს ევტიდეს. მეხმედ-ეპჩინ, მიკრიტიჩ დჟირნაიან, ბერტე, ედუარდ-ბან, ანსურიან, კრიკორ ისკირიან, სოგომონოვი და კონსტანტინიდეს, არსენიანი, გულისაშვილის ბახვის სკოლის, იანგოვასილოვი, ჟოსეფიდეს, პაპიანცის, არასხანიანცის, არსენ ოგანიანცის, კალანტარიანცის, კარაპეტა ბაბაიანცის, ტადაოსიანცის, მურუდის შახსუვოლიანცის, კონსტანტინიდეს, კაბუნიდეს, ინედჟიან, საპერიან, აპოსტოლიდეს, აპიკ, კონსტანტინიდეს; კუნდჟურადჟი, ჯაფაროღლი, ამათ შორის 15 ფირმის გრენი აღმოჩნდა პებრინიანი: ბერტე, გულფარა—პერიე; ძმანი ჩიმინგირიანი; კირკორისკირიანი; სოგომონოვ-კონსტანტინიდე, არსენიანი, არასხანიანცი, თადაოსიანცის, კონსტანტინიდის, კავუნიდის: აპოსტოლიდის, აპიკი, კუნდურადჟი. არუნიანცის და ლატიფიანის, ელმაიანის, ტარაკჟიანის, კუჰრიანოს პინაჩეს, ძმანი იაკაბოღლი, ოხრან აკოფიანის ტიგრან შეფიანის და სხვა. ამ ფირმებში ყველაზე უფრო უვარგისია კონსტანტინიდის ფირმა, ძმანი ჩილინგირიანის, აკოფიანის ელმაიანის და ლატიფიანის...

კავკასიის საბრეშუმო სადგურში წარმოადგინეს ზემოხსენებულ ფირმების გრენი თითონ გრენის პატრონებმა, რამდენიმე კოლოფი, რასაკვირველია, თუ-კი ექნებოდათ, ყველაზე უფრო სალს გრენს წარმოადგენდნენ სადგურში, რომ ფირმას სახელი არ გასტეხოდა, ამისათვის ფირმებს, რომლის რამოდენიმე კოლოფებში არ აღმოჩნდა დასნეულებული გრენი, შესაძლოა ავადმყოფი გრენიც ჰქონდეთ, ხოლო დანარჩენ ფირმების გრენი-კი რომლების თითქმის ყველა წარმოდგენილ კოლოფში იყო აღმოჩენილი პებრინა, უვარგისია, რადგანაც პატრონის საუკეთესოდ ნაცნობ გრენაშიაც-კი აღმოჩნდა პებრინა. ამ ჟამად ბევრი მეთესლე (გრენიორი) და მათი აგენტები საყვედურს აცხადებენ ჩვენსა და სხვა სპეციალისტების მიმართ, რომ ადრევე არ ვაუწყეთ იმის შესახებ, თუ საჭირო იყო გრენის შემოწმება და ვითომც შემოწმებულიც ცუდად იყოს და სხვა და სხვა. ამის შესახებ ვუპასუხებთ, რომ არა ერთხელ გამოგვიცხადებია როგორც სიტყვიერად, ისე ბეჭდვით ამ რამდენისამე წლის განმავლობაში და წარსულ შემოდგომაზედაც, თუ რა აუცილებელი მნიშვნელობა აქვს გრენის (თესლის) შემოწმებას გრენიორების აგენტებისა (იგულისხმეთ ჩვენებური მეთესლეები ვაჭრები) და მეაბრეშუმეებისათვის.

ყველაზედ უფრო სამწუხაროა ჩვენებურ ვაჭრების საქციელი: ვინ არ გინდა, რომ გრენის ყიდვა-გაყიდვას არა ჰკიდებს ხელს. წელს, მაგალითად, გრენის გამყიდველები არიან მიკიტანი, მეთევზე, მეფართლე, მეპურე, მეწაღე, მენავთე და სხვა და სხვა. რასაკვირველია, ამათ ხელში შეუმოწმებელ, გრენი და უვარგისი კიარა, შემოწმებული და სალი გრენიც-კი წახდება. არა ერთხელ გვირჩევია იმათთვის, რომ გადამთიელ უცხო-ქვეყნელისაგან შეუმოწმობლად ნუ ჰყიდულობენ გრენსა, მაგრამ ჩვენს რჩევა-დარიგებას ხშირად ზურგს აქცევენ და შესაძლოა, რომ წელს ბევრმა მათგანმა დიდი ზარალი ჰნახოს გრენის ვაჭრობის საქმეში. უკვე ბევრი დარწმუნდა, რომ გრენის (თესლის) საქმე უფრო საფრთხილო და ძნელი ყოფილა, ვიდრე სიმინდისა, თევზისა, ფართლისა, და სხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვა. გრენი იმისთანა ფაქიზი სულდგმული რამ არის, რომ ცოტაოდენი ჰაერის ცვლილება და ან რამ სხვა ცუდს ვითარებაში ყოფნა მეტის მეტად ავნებს და არავითარს სარგებლობას და მოსავალს არ მისცემს მეაბრეშუმეს.

ჯერჯერობით შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ მარტო დასავლეთ საქართველოში ასს ფუთზედ მეტი გრენი უნდა იყოს, 50 ფუთი მეტი შარშანდელზედ, ასე რომ რაც უნდა კარგი და სალი იყოს ეს დარიგებული გრენი, მაინც მოსალოდნელია, რომ უმეტესი ნაწილი ჭიებისა დაიხოცება უჭმელობით. ჯერ როცა ოცსა და ოცდაათს ფუთს გრენას უვლიდნენ ჩვენი მეაბრეშუმეები დასავლეთ საქართველოში ამ ორის წლის წინად, მაშინაც არა ჰყოფნიდათ ბჟოლის (თუთის) ფურცელი; ოქროს ფასად ჰყიდულობდნენ თითო ძირს ბჟოლას და ისე მიჰქონდათ ოცისა და ორმოცის ვერსის მანძილიდგან. წელს სასყიდლადაც ვერსად იშოვნის მეაბრეშუმე ბჟოლის ფურცელს, რადგანაც თითქმის ყველა სოფლელს, ვისაც-კი ცოტაოდენი ბჟოლის ხე უდგას და პატარა ქოხიც აქვს, შეძენილი აქვს გაცილებით მეტი გრენი, ვიდრე მოვლა და გამოკვება შეუძლიან.

ვაფრთხილებთ ყველა ჩვენს მეაბრეშუმეებს, რომ რაც შეიძლება ცოტა აბრეშუმის გრენი გაიჩინონ გამოსაკვებად, და ისიც ერთის ფირმისა და შემოწმებული. ხშირად ზოგიერთი მეაბრეშუმეები იღებენ სხვადა სხვა მეთესლეებისაგან რამდენისამე ფირმის გრენას გამოსაკვებად იმ აზრით, რომ თუ ერთისა არა, მეორე, ან მესამე ფირმისა მაინც ივარგებს და მომცემს მოსავალსაო. რასაკვირველია, ამისთანა მეაბრეშუმეები მოგებისა და სიხარულის მაგივრად ზარალსა და მწუხარებას ჰპოვებენ, რადგანაც სრულიად ავიწყდებათ, რომ ერთის ფირმის თესლი თუ ავადმყოფი გამოდგა რომელისამე სენით, მაშინ ყველა ფირმების თესლის ჭიებს გადაედება ეს სენი და დანარჩენ ჭიებსაც დაჰხოცავს.

დასასრულ, მეაბრეშუმეების ყურადღებას შემდეგ დარიგებას მივაქცევთ: 1) თითოეულმა ოჯახმა შეიძინოს სალი გრენი, რვა ან ათ მისხალზედ არა მეტი; 2) მოამარაგოს ამ თავითვე საჭიე სახლი, საკმარისი ბჟოლის (თუთის) ფურცელი და ჩელტებ-ლასტები.

3) დაასუფთავოს ნაცრის წყალით ყველა საჭირო ავეჯი—ძველი ჩელტები, საჭიე სახლის კედლები და სხვა.

თესაობისა იყო“ [6]).

„ხეტტების“ და ქართველების ნათესაობას, ერთ-თესლობას ამტკიცებს მასპეროც, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად, მოსოხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსოხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან. ხეტტელთა ქვეყანა, მასპეროს სიტყვით, შუა იდვა ორს დიდს უმთავრეს ქვეყნებ შორის, ქალდეისა და ეგვიპტისა და ამის გამო იგი შეიქმნა ერთს დიდ ბაზრად აღმოსავლეთისათვისაო. ამ ხალხს დიდ დ განვითარებული ცივილიზაცია ჰქონიაო, საკუთარი ლიტერატურა და აღყვავებული მრეწველობაო. რაც ვიცით ამ ერისა, სულ ეგვიპტელთა და ასსურელთა საბუთებით ვიცითო, რადგანაც თვით ამ ერის ნაშთი ძალიან ცოტაა და ცოტაობით ცნობილიო. წარწერანი მათნი იეროგლიფურია, სრულად განსხვავებული ეგვიპტიურისაგან და დღევანდლამდე წაკითხვა მათი ხელთ არ ეძლევა სწავლულთა მეცადინეობასაო [7]).

თუ მართალნი არიან ბ-ნი ნიკოლსკი და მასპერო იმაში, რომ ხეტტელნი ქართველის ნათესაობის ერი ყოფილა, ჩვენ აქ ცოტას ხანს შევდგებით, რადგანაც, იქნება, სხვა მეორე შემთხვევა აღარ მოგვეცეს ამაზე საუბრისა და სანანურად დაგვრჩება, რომ ამისთანა დიდად შესანიშნავს ერზე, როგორც ხეტტელნი ყოფილან, არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ აქამომდე.

ხეტტელნი, ანუ, როგორც ზოგნი ეძახიან, გიტნი დიდი ღვაწლ-მოსილი ერი ყოფილა, დიდის კულკულტურის მექონი და რიცხვ-მრავალი. ვშიშობთ ამის თქმასა, ვშიშობთ, იმიტომ-რომ სომეხთ მეცნიერებს და მათს ამქარს ერთი მიზეზი კიდევ არ მივცეთ სხვისას ხელი ჩაავლონ, ხეტტელებად თავიანთ თავი გამოატყვრინონ და ამ გზით, როგორც ყოველთვის, სხვისა დაიჩემონ და თავი მოიწონ ქვეყნის წინაშე,— აი რანი ვყოფილვართოა.

რადგანაც მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, არც ჩვენ ჩავი წყვეტთ ენას.

ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებულიო. ბევრს ადგილას მცირე-აზიაში კაცი შეხვდება კვალს აწ გარდასრულის, მაგრამ ოდესღაც გაბრწყინვალებულ კულტურისას. ეიუკს, მდებარეს მცირე-აზიაში მახლობლად გალისის მდინარისას, რომელიც მიდის შავის ზღვისაკენ, სამხრეთიდამ ჩრდილოეთზედ მიმართული, დღესაც მოჩანან დანგრეული კედლები ხეტტელების' უზარ-მაზარ სრა-სასახლისა უშველებელ რვი-კუთხიან თლილის ქვებისაგან ნაშენისაო. გზასა, სრა-სასახლეში მიმავალსა, ქვისაგან გამოჭრილი ლომები ინახავდნენო, „ჭისკარი გამაგრებული აქვს უზარ-მაზარის ჯავარიან ქვებით, რომელთზედაც ამოჭრილია სფინქსებიო. მრავალი ხუროთ-მოძღვრული წვრილმანი ამხილებს, რომ ეგვიპტელთა ხელოვნების ბაძიაო. თვით შენობა ბაბილონის სრა-სასახლეებისამერ, განგებ გაკეთებულ ხელთ-ქმნილ მიწურ ბექზეა აგებულიო. ამბობენ, რომ ეს საზაფხულო სადგომი იყოო ქადეშის მეფეებისა (ხეტტების სატახტო ქალაქია), როცა „მწვავი მზე სირიისა ძალიან აცხუნებდა ორონტის ველსაო“. სპეციალისტები—ჰერალდიკოსები გაიკვირვებენ, რომ ორ-თავიანი არწივი გერმანიის, რუსეთის და ავსტრიის ღერბისა წარმომდგარია ხეტტელების აწ გამქრალ ხელოვნებისა და სიმბოლოობისაგანაო (Символизма). ეჭვს გარეშეა, რომ გამოხატულობა ორ-თავიან არწივისა ყველა ვამოხატულობაზედ უფრო ხშირია, რაც-კი ხეტტელების სახსოვართა ზედ-აჩნევიათო. ეს ორ-თავიანი არწივი ჯერ თურკმანების მეფეებს შეუთვისებიათ და მერე ჯვაროსანთ შემოუტანიათ ევროპაში და აქედამ გამხდარა გერმანიის იმპერატორების ემბლემად და გერმანიის იმპერატორებისაგან გადასულა რუსეთსა და ავსტრიაშიო. [8]).

„ზოგნი დიდ-ბუნებოვანნი კაცნი ძველის საბერძნეთისაო, ამბობს მერე ანდერსონი: მცირე აზიის შვილნი არიანო, მაგალითებრ, ჰომიროსი, თალესი, პითაგორი, ჰეროდოტეო, და ვისაც ამათს ხსენებაზე აგონდება ეგეიის ქალაქები, იმას შეუძლიან უფრო ღრმად შეხედოს საქმეს —სახელდობრ, კულტურას გიტტებისას, ანუ ხეტტებისასაო. [9])

ანდერსონი, იხსენიებს-რა ერთს საბუთს, განაგრძობს, რომ ეს საბუთი ცხადად გვანიშნებს, რომ ხიტა, ხეტტთა, ანუ გიტტთა ქვეყანა თავისის მდებარეობით, მდგომარეობით და ძლიერებით თვით ეგვიპტის თანასწორი და ტოლი იყოო. როგორც ანდერსონი, ისეც მასპერო დიდ-ქებაში არიან ხეტტების კულტურისა, სიმდიდრისა, ალებ-მიცემობისა, ვაჟკაცობისა და ძლიერებისა.

გვიკვირს, ეს ხეტტების საქებ-სადიდებელი ამბები როგორ გამოჰპარვიათ სომეხთა მეცნიერებს. უსათუოდ არა სცოდნიათ, თორემ აბა რას შეარჩენდნენ ქართველთა ნათესაობის ერს ამისთანა საქებურს ამბებსა. მერე იციან, რომ ქართველნი დაუდევარნი არიან და იმ ჭიან-ლიბერალობით თვალებ-აბმულნი, რომ არცკი ეტყვიან: „ძმანო და მეგობარნო! მართალია, თქვენის კეთილის გულის ამბავი ვიცით, რომ საცა პურია, ბინას იქ იკეთებთ, არა ჰკითხულობთ პური ვისი გამომცხვარია და მიირთმევთ, ოღონდ-კი გემრიელი იყოს, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია: რას გიმართლებით. ჩვენ ჩვენი ვიცოდეთ და ვიქონიოთ, თქვენ—თქვენი“. ხოლო რას იზამთ? „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

ბულისა, იხილეთ წერილი დ. ჩუბინოვისა: „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიისა, ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“. ივერია 1877 წ. №№ 14, 15, 16 დ 17. ეს წერილი რუსულადაც იყო დაბეჭდილი და ერთს პეტერბურგის სწავლულთა კრებულში წაკითხული თვით ავტორისაგან.

[6]) იქავ, გვ, 389.

[7]) იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა, რუს. თარგმნილი, გვ. 178—179.

[8]) იხ. რ. ანდერსონი: ისტორია აღმოსავლეთის გარდასულის ცივილიზაციისა, რუს. ინგლისურიდამ თარგმნილი, გვ. 66.

[9]) იქავ: გვ. 62, 63.

4) შეინახოს გრილ ალაგას, (არა უმეტეს 12 — 13° R-ით) გრენი, ვიდრე დღეები გათბებოდეს და ბჟოლის ფურცელი გაიშლებოდეს.

5) შემობაროს და გასწმინდოს ბჟოლის ხეები და სასურველია ცოტაოდენი სასუქიც (ნაკელი) დაჰყაროს ხეების ძირში.

შემდეგ წერილში ჩვენ ვეცდებით მივაწვდინოთ ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეებს დაწვრილებითი დარიგებანი მეაბრეშუმეობის შესახებ.

იოს. ქუთათელაძე

## რუსეთი

მიწად-მოქმედების სამინისტროში, როგორ „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ხელი შეუწყონ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა დაარსების საქმეს.

— იმავე სამინისტროს აზრადა აქვს კრედიტი გაუჩინოს სოფლის მასწავლებელთ სასოფლო-სამეურნეო საქმეებისათვის.

— ფინანსთა სამინისტრო, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, შეუდგა სტატისტიკურის ცნობების შეკრებას რუსეთში შინა მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები იმისთვისაა საჭირო, რომ მთავრობას აზრადა აქვს რამე საშუალება მიიღოს ამ მრეწველობის განვითარება-გასაძლიერებლად.

— „Сынъ От.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ დაადგინა გადასდოს ყოველ წელიწადს 20,000 მანეთი სახელმწიფო ხაზინიდგან რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას დაბალ სახელოსნო სკოლების დასაარსებლადაო.

— „Кур.“ სიტყვით, მთავრობამ დაადგინა სავაჭრო სკოლების მოწაფეთათვის განსაკუთრებული ტანისამოსის ფორმა შემოიღოსო.

— მიწად-მოქმედების დეპარტამენტს აზრადა აქვს გამოსცეს განსაკუთრებული კრებული მთავრობის იმ დადგენილებათა და განკარგულებათა, რომელნიც სამეურნეო სწავლა-განათლებას შეეხება.

## დამჯერდი

ეშინოდეს ურჩების სინანულისა.

სულხან საბა

* * *

სწუთროშიგან ნასუქი
ხან-გრძლად არავის დარჩების.

როსტომიანი

* * *

არწივი რომ ზენას ზენიდგან გადმოიხედავს, მთა და ბარს სწორედ უჭვრეტს.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ამ ბოლოს დროს მეტად ხშირი მოვლენაა სულით ავადმყოფობა და თვისის თავის მკვლელობა რაც დრო და ხანი გადის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ეს ორი სენი უფრო და უფრო ვრცელდება. უწინ იშვიათი მოვლენა იყო თავის მოკვლა და სულით ავადმყოფსაც ძალიან ძვირად შეხვდებოდა კაცი. ეხლა-კი ისე გაზეთს არ აიღებს კაცი, რომ არ წაიკითხოს, ამა და ამ კაცმა რევოლვერი დაიცა, ან საწამლავი დალია და წუთი-სოფელს გამოესალმაო. სულით ავადმყოფთა რიცხვი ხომ მრავალზედ უმრავლესია. ბევრნი ამ მოვლენას აწინდელ ცივილიზაციას აწერენ და იმის ნაყოფადა სთვლიან. ამ ჟამად მრავალი მეცნიერი სცდილობს გამოიკვლიოს მიზეზი ასეთის არა სასურველ მოვლენისა. სხვათა შორის, ამას წინად ბრიტანიის სამკურნალო ასსოციაციაში ერთმა ინგლისელმა ექიმმა ა. გაიგამ წაიკითხა მოხსენება თავის მკვლელობის შესახებ. ექიმი გაიგა ამტკიცებს, რომ თავის მკვლელობის უმთავრესი მიზეზი ჭამა-სმაო. „მითხარ რასა სჭამ და გეტყვი რას გააკეთებო“, ამბობს მკურნალი მოხსენების დასაწყისში. „ხორცი და ჩაი, აი ეს ორი უმთავრესი მიზეზი, განაგრძობს გაიგა, რომელთაც კაცი თავის მოკვლამდე მიჰყავთ“. გაიგის აზრით, მუდმივი ხმარება ხორცეულისა დიდს ცვლილებას ახდენს ადამიანის სხეულში, სახელდობრ იგი აბევრებს სისხლში შარდის სიმჟავეს. ამ მოვლენას მამა-კაცის სხეულში უფრო ხშირად შეჰხვდებით, ვიდრე დედაკაცისაში და აკი კიდეც იმიტომ მამა-კაცები უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე დედაკაცებიო. შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ რადგანაც ხორცეულობას უფრო გაზაფხულობითა და ზაფხულობით ეტანებიან, მკვლელობაც ამ დროს უფრო ხშირიაო. დასასრულ მომხსენებელი ურჩევს ყველას ხორცის ჭამას უკლოს და თუ შეიძლება, სრულიად გაანებოს თავი.

ამ მოხსენებას დიდის სიხარულით მიეგებნენ ინგლისელი ვეგეტარიანები და თვისის მხრით გაზეთებში მრავალი წერილები დაჰბეჭდეს ხორცის მავნებლობის შესახებ. ბევრი ვეგეტარიანი ეხლა იმასაც-კი ამტკიცებს, რომ არმც თუ თავის მოკვლა, არამედ გარყვნილებაც და მრავალი ამ გვარი საქმეც ხორცეულის მოჭარბებულის ხმარების შედეგიაო. ხორცის მოჭარბებული ხმარება, კაცს ხასიათს უფუჭებს, აბრაზიანებსო. ბევრი სხვა მკურნალი არ ეთანხმება გაიგას აზრს. შესაძლებელია ჭამა-სმასაც რაიმე კავშირი ჰქონდეს თავის მკვლელობასთან, მაგრამ იგი მაინც არ არის ის უმთავრესი მიზეზი, რომლის წყალობითაც კაცი წუთისოფელს ესალმებაო, ამბობენ ისინი. სხვათა შორის, მაგალითად იტალია მოჰყავთ, სადაც ხორცეულს მაგრე რიგად არ ეტანებიან, მაგრამ თავის მკვლელობა-კი იქაც ისევე ხშირია, როგორც სხვა ქვეყანაში.

* * *

„Uns Aed“ ერთს მეტად უცნაურს ამბავს იუწყება. ამას წინად, ამბობს გაზეთი, ქ. ნარვში სოფლიდგან ერთი გლეხი კაცი ჩამოვიდა. თან გლეხმა დიდი სკივრი ჩამოიტანა, გაიტანა ეს სკივრი ბაზარში და „ვაჭრობას“ შეუდგა. როდესაც ხალხი სკივრთან მივიდა, დაინახა, რომ შიგ ორი ბავშვი იჯდა. რა ამბავია ეს? ჰკითხეს გლეხს. გასასყიდად მოვიყვანე ბავშვებიო, წარბშეუხრელად მიუგო იმანაც, სოფლიდგან ქალაქში გადმოვსახლდი, სამუშაო ვერ ვიშოვნე და სიცოცხლე გამიჭირდაო. რადგანაც ბევრი შვილები მყავს, ორი ბაზარში გამოვიყვანე გასასყიდადაო!..

* * *

ინგლისში კვირაობით არც ერთი გაზეთი არ გამოდის. ამ ბოლოს დროს ორის გაზეთის—„Daily' Téleg.“-ისა და „Daily Mail“-ის რედაქციებმა მოიწადინეს კვირაობით გაზეთის გამოცემა. როგორც-კი ეს ამბავი სხვა გაზეთების რედაქციებმა შეიტყვეს, მათაც განიზრახეს ეგევე, მაგრამ ამ რედაქციების განზრახვას წინ აღუდგა პარლამენტის ერთი წევრი; ამ წევრს აზრადა აქვს პარლამენტში მოხსენება შეიტანოს იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას როგორც რედაქციებსა, აგრეთვე სტამბებში ყოველგვარი მუშაობა კვირაობით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აპრილი

**ჰელსინგფორსი.** სენატს გარდაეცა ფინლანდიაში შემოსავლებ სამხედრო ბეგარის წესდების პროექტის უმაღლესად მოწონებული დასამატი აზრნი იმის შესახებ, რომ მთელს იმპერიაში პირადი და საფინანსო ტვირთი ამ ბეგრის გარდახდისა გათანასწორებულ იქმნას. ეს აზრი სცემს უნდა გარდაეცეს და მისის ძალით ერთი ოთხად მეტი ჯარის-კაცი უნდა გაიყვანონ, რომლის მოჭარბებული ნაწილი რუსეთის ჯარში ჩაირიცხება, ხოლო ფინლიანდიის სამხედრო საჭიროების ხარჯთ-აღრიცხვა თანდათანობით 10 მილიონ მანათამდე უნდა გაძლიერდეს.

**პარიჟი.** „Figaro“-ში 13 ჩვენებაა დაბეჭდილი. გრენიე იხსენიებს ესტერგაზის მეცადინეობას, რომ მთავარ-შტაბში ადგილი ეშოვნაო. ჟანნელმა სთქვა თურმე, რომ დრეიფუსს ვათხოვე „თოფის სროლის სახელმძღვანელოო“. კაპიტანმა იუნკმა და ვალდანმა კვერი დაუკრეს ლაუტის ნალაპარაკევს.

„Eclair“-ში დაბეჭდილია ეშმაკისა და სხვა მის ახლო კუნძულთა გუბერნატორის ოფიციალური მოხსენება, 26 ოქტომბერსა თუ 25 ნოემბერს დაწერილი,—რომელშიაც მოხსენებულია, როგორ მიეგება დრეიფუსი იმ ამბავს, რომ შენი საქმე უნდა გადასინჯულ იქმნასო. დანიელი ამბობს: დრეიფუსი ცოლსა სწერდა, რომ მინდა თავი მოვიკლაო. როდესაც საკასაციო პალატამ მოსთხოვა, დაგვისახელეთ, რა გვარად აპირებთ თავის დაცვასაო, დრეიფუსმა გამოუცხადა, რომ არაფრის თქმა არ შემიძლიან, არაფერი არ მახსოვსო. ერთხელ დრეიფუსმა უთხრა მკურნალს: „მეშინიან, რომ ჩემმა სახლობამ არ გამოაქვეყნოს ცნობილი წერილი, რომლის ბრალსაც მე მდებენ; ეფიქრებათ, რომ ეს ამბავი გერმანიის იმპერატორმა არ შეიტყოსო. მაგრამ ნუ თუ ის არ აშინებთ, რომ შეიძლება ჩემმა ცოლმა წაიყვანოს თავისი ორი ბავშვი, ჩაუვარდეს იმპერატორს ფერხთ ქვეშ და მართლ-მსაჯულება სთხოვოს“. დრეიფუსმავე განუცხადა დანიელს, რომ საკასსაციო პალატის საცნობელი არა მაქვს-რა, ხოლო 24 ნოემბერს სწერდა იმავე დანიელს, რომ ჩემის საქმის სასამართლოში წარმოების დროს პერიესა ვთხოვე, რომ იგი საჯაროდ იქმნას განხილული-მეთქი. პერიე დამთანხმდა ზოგიერთის პირობით, რომელთა ასრულების ფიცი მივეცი. ამისდა მიუხედავად, არ ვიცი რა მიზეზით, უარი მითხრეს და ჩემი საქმე საჯაროდ არ განიხილესო. ამასთანავე დრეიფუსმა რამდენჯერმე განიმეორა თურმე, რომ ჩემის დაცვის საქმე ჩემის ცოლისა და დემანჟის ხელთ არისო.

კაპიტანმა ფრეშტეტერმა, დრეიფუსის ერთმა მოსამართლეთაგანმა, რომელმაც ლოკრუას წერილი მისწერა და ეჭვს აცხადებდა განაჩენის კანონიერობის შესახებ, ლოკრუასაგან ნება რთვა მიიღო პირდაპირ მიჰმართოს საკასაციო სასამართლოს და აცნობოს ან წერილობით, ან სიტყვიერად ის, რის გამომჟღავნებაც მას სასარგებლოდ მიაჩნია.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 167 ხმის უმეტესობით 65 ხმის წინააღმდეგ შეიწყნარა ვეი-ხაი-ვეის შესახები მუხლი. კამათის დროს გოშენმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვად არა აქვს ვეი-ხაი-ვეი პირველ ხარისხოვან საზღვაო სადგურად გარდააქციოს და ვეი-ხაი-ვეისა ისეთი იმედი არა აქვს, როგორი იმედიც რუსეთს პორტ-არტურისა აქვს.

**პარიჟი.** თავის მოკვლის აზრი, რომლის შესახებაც დანიელის მოხსენებაშია ლაპარაკი, დრეიფუსს გამოუთქვამს იმ დრომდე, ვიდრე სისხლის სამართლის პალატა გარდასწყვეტდა, საქმის გადასინჯვის შესახები არზა შეიძლება მიღებულ იქმნას თუ არაო. დრეიფუსი თავისს სიტყვიერად და წერილობით ლაპარაკში დანიელთან დაბეჯითებით გაიძახის, რომ მე უდანაშაულო ვარ და ეჭვი არა მაქვს, რომ გენერლები, განსაკუთრებით ბუადეფრი კანონიერად იქცევაო.

**კრემენჩუგი.** აქ სამხედრო მინისტრი ჩამოვიდა.

4 აპრილი.

**პეტერბურგი.** რადგან გაზეთმა „Биржевыя Вѣдомости“-მ თავისის მე-91 №-რის მეთაურის წერილის დაბეჭდვით დაარღვია ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს განკარგულება, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზ. „Биржевыя Вѣдомости“-ს მესამედ გაფრთხილება და ამასთანავე ორის თვით შეჩერებულ იქმნას მისი გამოცემა.

**მადრიდი.** არტოსი დანიშნულ იქმნა ელჩად ვაშინგტონში. იმის მაგივრად, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად დანიშნულია დიუპიუი-დე-ლომი.

5 აპრილი

**პარიჟი.** „ფიგაროში“ დაბეჭდილია ჩვენებანი სამის პოლიციელის— კენესი, ტომისა და დევერნინისა და პოლკოვნიკის პიკარისა. პიკარს უთქვამს, არ მახსოვს, პატი-დე-კლამმა ან სხვა ვინმემ წარადგინა თუ არა საიდუმლო „დოსიეს“, მაგრამ ეჭვიკი არა მაქვს, რომ ეს „დოსსიე“ აუწყესო. პიკარმა სთქვა, რა საბუთების ქაღალდებია ამ „დოსიეში“ და რა მიზეზით ვეჭობ, რომ ისინი დრეიფუსს არ ეკუთვნიანო.

**პარიჟი.** ბარტუმ თავისის ამომრჩევლების წინაშე ოროლონში განაცხადა, რომ დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა აუცილებელიაო.

**ვენახა.** მართლ-მადიდებელთა ტაძრის კურთხევა დაიწყო დილის 9 საათზედ. დაესწრნენ: უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი, რუსეთის ელჩი გრაფი კაპნისტი, რუსეთის საელჩოს წევრები, სტუმრები, მართლ მადიდებელი მღვდლები, ბერძენთა და სერბთა არქიმანდრიტები, დიპლომატები და სხვანი. იყვნენ აგრეთვე ავსტრიის ნამესტნიკი და ვენის ბურგომისტრი.

**გონკონგი.** ადგილობრივ მცხოვრებთ-თოფები დაუშინეს ტაიფუს, სადაც ბრიტანიის ჯარის რაზმი იყო კოულუნის ასაღებად. რაზმს უფროსობდა კაპიტანი მეი. ტაიფუში ბრიტანიის ჯარი გაჰგზავნეს.

**მადრიდი.** არჩევანების გამო ბილბაოში, ვალენციაში არეულობა და ჩხუბი მოხდა. ერთი კაცი მოკლულია და რამდენიმე დაჭრილი.

## იათეოზის პასუხად

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამა წლის მე 49 №-ში წავიკითხე ძირულიდგან მოწერილი წერილი იათეოზისა, რომელიც უსაყვედურებს მისდამი რწმუნებულ სკოლის უწინდელ მასწავლებელს, რომ იმის შეგონებით ეხლანდელ მასწავლებელს ბავშვები შემოეცალაო სკოლაში და სხვა... რადგან ეს სიტყვები მე შემეხება, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს, ჭეშმარიტების აღსადგენად შემდეგი განვაცხადო.

ძირულის ანუ აჯარის სამრევლო წერა-კითხვის სკოლიდგან ამა მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგს მე გადამიყვანეს ხარაგაულის საეკკლესიო სამრევლო სკოლაში, რომელიც მომავალ სამოსწავლო წლისთვის უთუოდ ორ-კლასიან სკოლად უნდა გადაკეთდეს. მე თითონ გამოვიძიე „ივერიის“ მე-41 ნომერში დასტამბული ამბავი და აღმოჩნდა: სკოლის გვერდით—ათ საჟენზედ სახლობს კაცი, რომლის ოჯახშიაც ყვავილი გაჩენილიყო. ამ სენს შეუშინდა თურმე რამდენიმე გლეხი და ხუთმა თუ ექვსმა თავიანთი ბავშვები დროებით მოარიდეს გადამდებ სენიან ავადმყოფობას, და ავათმყოფობის გავლისა შემდეგ ბავშები ისევე სკოლაში უნდა მიეყვანათ. აი საქმე ასე გახლდათ და მოამბე-კი სულ სხვას ლაპარაკობს. მეცამეტე წელიწადი მიმდინარეობს, რაც მასწავლებლობის ეკლიან გზას ვადგევარ და არ მახსოვს სადმე, რომელსამე მასწავლებელს ჩემს შესახებ მაგის მსგავსი რამ დაებეჭდოს.

ხარაგაულის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი ტარასი გაჩეჩილაძე


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ 10 ამა აპრილს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მისს სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რათა იჯარით გაიცეს შეშისა და ხე-ტყის მასალის საწყობად ქალაქის მიწა, რომელიც ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილში მდებარეობს ახალ დამოქნის პირდაპირ, და ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენია, საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—6.—1)

რადგანაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აზრადა აქვს დაჰბეჭდოს

### კრებული პუშკინის ქართულად ნათარგმნ ნაწერებისა

მაისის საიუბილეო დღესასწაულისათვის, ამიტომ იგი გამგეობა უმორჩილესად სთხოვს იმათ, ვისაც გადათარგმნილი აქვს რომელიმე ნაწერი რუსთა გამოჩენილის პოეტისა, ლექსი ანუ პროზა, გამოუგზავნოს გამგეობას ეგ თარგმანი კრებულში დასაბეჭდად. თუ უკვე დაბეჭდილია სადმე ამისთანა ნათარგმნი, აცნობოს გამგეობას, სახელდობრ, სად, რომელს ჟურნალსა ანუ გაზეთში, და როდის არის დაბეჭდილი. უფრო უკეთესი იქმნება, თუ მთარგმნელი თვით დაბეჭდილს გამოუგზავნის გამგეობას. ადრესი: Тифлисъ. Въ канцелярію общества грамотности. (5—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე